საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2140-03
17/12/2024

სახელის ან/და გვარის ცვლილების შემთხვევაში, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომის, პროფესიული დიპლომის და მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის განმეორებით გაცემის საფასურის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, რექტორის 2024 წლის 28 ნოემბრის №2095-03 ბრძანებით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ მეშვიდე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. სახელის ან/და გვარის ცვლილების შემთხვევაში, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომის, პროფესიული დიპლომის და მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის განმეორებით გაცემის საფასური განისაზღვროს 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.
2. სახელის ან/და გვარის ცვლილების გამო, დიპლომის, პროფესიული დიპლომის და მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის განმეორებით გაცემა მოხდეს მხოლოდ ამ ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს დიპლომების გამოყენებისა და აღრიცხვა ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირს - მარინა ცქიტიშვილს და აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის უფროსს, სოფიო გაჩეჩილაძეს.
4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან.
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება და შიდასაუნივერსიტეტო პროგრამა კოდექსში ატვირთვა;
6. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებ გვერდზე გამოქვეყნება.
7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ყველა ფაკულტეტს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, იურიდიულ სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, დიპლომების გამოყენებისა და აღრიცხვა ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირს - მარინა ცქიტიშვილს.

ქეთევან დარახველიძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი